შ.პ.ს. "კონსტუდიო"

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, ნაკვეთი 07056,
ს/კ 01.14.06.007.067, გერმანული საერთაშორისო
სკოლის სპორტული დარბაზის პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019

წინა პირობები:

შპს "GANIEKISCH"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, ნაკვეთი 07056, ს/კ 01.14.06.007.067, გერმანული საერთაშორისო სკოლის სპორტული დარბაზის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ 2019 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. შპს "GANIEKISCH"-ის მიერ შესრულებული არქიტექტურული ნაწილის პროექტის ვექტორული ფაილი.
3. შპს "GANIEKISCH"-ის მიერ "მონომახ-საპრ 2013" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით მოდელირებული შენობის გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს "GANIEKISCH"-ის მიერ შესრულებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის ნახაზების ელექტრონული (pdf) ფაილები;

საერთო:

განსახილველი სპორტული დარბაზის ერთსართულიანი საპროექტო შენობა წარმოდგენილია 7.5 მ სიმაღლის დარბაზით და 3.5 მ სიმაღლის დამხმარე სივრცით.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

შენობისთვის საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები - ძლიერ გამოფიტული არგილითების და თიხოვანი ქვიშაქვების მორიგეობა (ფენა 3), სიმტკიცის ზღვრით ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc=3.5 მპა. საძირკვლებად მიღებულია 25 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა. დასაფუძნებელ გრუნტებს და საძირკვლის ფილის ძირს შორის ეწყობა არანაკლებ 20 სმ სისქის დატკეპნილი მდინარის ბალასტი.

შენობის ვერტიკალური მზიდი ელემენტები, სვეტები ძირითადი შენობისათვის მოცემულია მონოლითური რკინაბეტონის სახით, კვეთით 350X350. ხოლო ღია, მიშენებული ნაწილისათვის ლითონის გაგლინული ელემენტით. ასევე ლითონის გაგლინული ელემენტებით არის წარმოდგენილი დარბაზის დახურვის წამწეები და მიშენების ზეწრული სახურავი. მონოლითური რკინაბეტონის ფილით დახურულია მხოლოდ დამხმარე სივრცე.

მზიდი კონსტრუქციებისათვის ბეტონის კლასი მიღებულია B22.5; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასებია – AIII და AI.

ფუძე-საძირკვლების და კარკასული სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება- გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "მონომახ-საპრ 2013"-ის გამოყენებით. გაანგარიშებები შესრულებულია დატვირთვების თანაწყობებზე 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.

საპროექტო ქვაბულის მცირე ჩაღრმავებიდან გამომდინარე მისი დამუშავება შესაძლებელია ადგილზე, დამატებითი გამაგრებების გარეშე - ფერდობების მოწყობის ნორმების დაცვით.

ნახაზების სახით მოცემული კონსტრუქციული ნაწილის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის ავტორება გაითვალისწინეს, მიიღეს და ასახეს მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

დასკვნა:

პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა შემდგომი გამოყენებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ

ხელმოწერა წოწერია

თბილისი 23-07-2019